საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ეთიკის ნორმების დარღვევა და რეაგირების მექანიზმები საქართველოს პარლამენტში

2019

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

სარჩევი

შესავალი 4

რა ეკრძალება დეპუტატს ეთიკის კოდექსით 4

ეთიკის ნორმებისთვის გათვალისწინებული სანქციები 5

ეთიკის საბჭოს ფორმირება 5

საჩივრის განხილვის წესი 8

ეთიკის კოდექსის მიღების შემდეგ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების

შემთხვევები საქართველოს პარლამენტში 9

შეფასება/რეკომენდაცია 12

შესავალი

პარლამენტის წევრების სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება, მათ მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა საქართველოს ყველა მოწვევის პარლამენტისთვის გამოწვევა იყო. სამოქალაქო სექტორი არა ერთი წელი ითხოვდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ ეთიკის კოდექსის დამტკიცებას.[1]

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 22 თებერვალს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მიღება[2], მიუხედავად იმისა, რომ საკანონდებლო ორგანომ არ გაიზიარა სამოქალაქო სექტორის რეკომენდაცია და კოდექსში არ არის გათვალისწინებული ეთიკური ნორმის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ეფექტური მექანიზმები.

პარლამენტის მიერ ეთიკის კოდექსის მიღების მიუხედავად, ეთიკის საბჭოს დებულება ამ დრომდე არ არის დამტკიცებული და ეთიკის საბჭო ყველა წევრით არ დაკომპლექტებულა. შესაბამისად, ის ვერ განიხილავს საჩივრებს და დეპუტატების მიერ ეთიკური კოდექსის ნორმების დარღვევები რეაგირების გარეშე რჩება.

ანგარიშის მიზანია განიხილოს ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ქცევის წესები და რეაგირების მექანიზმები. საზოგადოებას ასევე შევახსენებთ ეთიკის კოდექსის მიღების შემდეგ პარლამენტის წევრთა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების საჯაროდ გახმაურებულ შემთხვევებს, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დარღვევას.

რა ეკრძალება დეპუტატს ეთიკის კოდექსით

- ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლები, მიმართვები და ქმედებები, ასევე სიძულვილის ენის გამოყენება
- პარლამენტის წევრის სტატუსის პირადი, ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება
- საკითხის განხილვის პროცედურამდე მისი ან მისი ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ინტერესების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა
- ისეთი ტიპის გარიგების დადება, რომელიც ზღუდავს მის დამოუკიდებლობას
- თანამშრომლების სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია
- თანამშრომლებისთვის ისეთი დავალების მიცემა, რომელიც სცილდება მათ სამუშაო აღწერილობას
- არასამსახურეობრივი მიზნებისათვის სამსახურეობრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება (როცა ეს მისთვის ცნობილი გახდა საჯარო სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელების პროცესში)
- 300 ლარზე მეტი ღირებულების საჩუქრის შესაბამის რეესტრში მიუთითებლობა

---

1 საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის“ შემუშავება ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ვალდებულება იყო. პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მიღების პირველი მცდელობა იყო 2004 წელს. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ზოგადი დეკლარაციული ხასიათის იყო, არ შეიცავდა აღსრულების მექანიზმებს, და ამასთანავე, არ წარმოადგენდა რეგლამენტის ნაწილს, და არც პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტს. იგი სავალდებულო იყო მხოლოდ მასზე ხელმომწერი პირებისათვის, თუმცა რაიმე კონკრეტული შედეგი არასოდეს მოჰყოლია. ვრცლად იხ. „საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსი - შემდგომი რეფორმები”, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”, 23 აპრილი, 2012, https://bit.ly/2MuSYSl

2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ. იხ. https://bit.ly/2qmSnKS

- ლობისტების მიერ ნაჩუქარი საჩუქრის/ჯილდოს მიღება
- ლობისტთან შეხვედრის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა
- სამსახურეობრივი საკონტაქტო ინფორმაციის მიუთითებლობა

ეთიკის ნორმებისთვის გათვალისწინებული სანქციები

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტების დაცვა დეპუტატისთვის სავალდებულოა[3]. პარლამენტის წევრის ქცევის ეთიკური სტანდარტები განისაზღვრება ეთიკის კოდექსით, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს დადგენილებით[4][5].

ეთიკის კოდექსის თანახმად, ეთიკის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება იმ პარლამენტის წევრის სახელი და გვარი, რომელმაც დაარღვია კოდექსით გათვალისწინებული ნორმა, აგრეთვე დარღვევის მოკლე აღწერა. პარლამენტის წევრის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესის დარღვევის შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მას სარეკომენდაციო ბარათით მიმართოს.

იმ შემთხვევაში თუ ეთიკის საბჭო დაადგენს, რომ პარლამენტის წევრს კოდექსი არ დაურღვევია, მისი სახელი, გვარი და შემთხვევის მოკლე აღწერა პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მხოლოდ დეპუტატის თანხმობის შემთხვევაში, განმცხადებელს კი ეცნობება საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ.

ეთიკის კოდექსის თავდაპირველი პროექტი, რომელსაც პარლამენტმა 2018 წლის 19 აპრილს მხარი არ დაუჭირა, ითვალისწინებდა ეთიკური დარღვევისათვის უფრო მკაცრ სანქციებს, მაგ. ხელფასის 10%-დან - მაქსიმუმ 50%-ის ოდენობით დაკავებას და ოფიციალურ ვიზიტებში მონაწილეობის შეჩერებას მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში. ეთიკის კოდექსში მკაცრი სანქციების გათვალისწინებას მხარს უჭერდნენ ღია მმართველობის პარლამენტის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში[6] ეთიკის საბჭოებს განსხვავებული და უფრო მკაცრი სანქცირების მექანიზმები აქვთ, მაგალითად პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და განსაზღვრული დროით ხელფასის დაქვითვა.

ეთიკის საბჭოს ფორმირება

ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების შესასწავლად და მონიტორინგის საწარმოებლად განისაზღვრა უფლებამოსილი ორგანო - ეთიკის 14-წევრიანი საბჭო[7], რომელიც პარლამენტის 2019 წლის 19 მარტის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა.

---

3 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი, https://bit.ly/31Gdt45

4 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 227-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, https://bit.ly/31Gdt45

5 აღნიშნული დადგენილება მიღებულია 22/02/2019: https://bit.ly/2IAvOZv

6 საპარლამენტო ეთიკის საბჭოები, საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2016: https://www.transparency.org/files/content/corruptionqas/Parliamentary_ethics_committees_2016.pdf

7 ეთიკის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში. ამასთანავე, საბჭოში უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევარს. მიმდინარე საბჭოს 14 კაციანი შემადგენლობიდან 7 ადგილი „ქართულ ოცნებას" ეკუთვნის, 3 – „ევროპულ საქართველოს", 1 – „ნაციონალურ მოძრაობას", 1 – „პატრიოტთა ალიანსს", 2 კი დამოუკიდებელ დეპუტატებს.

ვინ არიან ეთიკის საბჭოს წევრები?*

ადგილი ვაკანტურია
(უმრავლესობის კვოტა)



ნინო წიღოსანი
ფრაქცია „ქართული ოცნება“

რუსლან გაჯიევი
ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

კობა ღურსმანაშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“

გენადი მარგველაშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“

რატი იონათამიშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება“

ოთარ კახიძე
ფრაქცია „ევროპული საქართველო“

ხათუნა გოგორიშვილი
ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“

სერგი კაპანაძე
ფრაქცია „ევროპული საქართველო - რეგიონები“

მამუკა ჩიქოვანი
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“

ემზარ კვიციანი
ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“

ეკა ბესელია
დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი



რამაზ ნიკოლაიშვილი
დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი

ადგილი ვაკანტურია
(უმრავლესობის კვოტა)

ეთიკის საბჭოს ჰყავს 2 თანათავმჯდომარე (ერთი – უმრავლესობიდან, ხოლო მეორე – უმცირესობიდან ან იმ ფრაქციიდან, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში). ეთიკის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა. იგი გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ეთიკის საბჭოს ორი თანათავმჯდომარე არ არის არჩეული, რადგან მათი არჩევის წესი დებულებით განისაზღვრება, რომელიც ჯერ-ჯერობით საბჭოს არ დაუმტკიცებია.

პარლმენტის ეთიკის საბჭოს პირველი სხდომა 2019 წლის 12 ივნისს გაიმართა და იგი საორგანიზაციო საკითხების განხილვას დაეთმო. საბჭოს წევრებმა ეთიკის საბჭოს დებულებაში შესატან საკითხებსა და სხვადასხვა შესამუშავებელ დოკუმენტზე იმსჯელეს, მათ შორის საბჭოს დებულებაზე და იმ საკითხებზე, რომელიც დოკუმენტში უნდა დაკონკრეტდეს. ასევე განიხილეს ზოგიერთი შესამუშავებელი დოკუმენტის ფორმები, მათ შორის: საჩივრის ფორმა, სარეკომენდაციო ბარათის ფორმა, საჩუქრის რეგისტრაციის ფორმა და სხვა.

* საბჭოს ორი ვაკანტური ადგილი უმრავლესობის კვოტით უნდა დაკომპლექტდეს. ეთიკის საბჭოს ორმა წევრმა რუსლან პოღოსიანმა და ირინე ფრუიძემ საბჭოს შემადგენლობა დატოვა. რუსლან პოღოსიანი უმრავლესობის წევრია და საბჭოს წევრობაზე საკუთარი სურვილით თქვა უარი. ირინა ფრუიძემ უმრავლესობა დატოვა მას შემდეგ რაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირეს საკონსტიტუციო ცვლილებებს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად იგი უმრავლესობის კვოტით ვეღარ იქნებოდა საბჭოს შემადგენლობაში.

როგორ განიხილავს ეთიკის საბჭო დავებს?

კოდექსის სავარაუდო დარღვევის ფაქტები განიხილება:

- საბჭოს ინიციატივით
- საჩივრის საფუძველზე

საჩივარს წარადგენს:

- პარლამენტის წევრი/ები
- პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა კოდექსის ნორმები.

საბჭოს შეუძლია:

- ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს საჯარო სხდომა
- პროცესი კონფიდენციალური
- საბჭოს სხდომები დახურული

საბჭოს შეუძლია:

- მოიძიოს მტკიცებულებები
- გამოითხოვოს საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო ინფორმაცია.

დეპუტატი ვალდებულია:

- ითანამშრომლოს ეთიკის საბჭოსა და პარლამენტის სხვა შესაბამის სუბიექტებთან
- სრულად და ობიექტურად მიაწოდოს მათ მის ხელთ არსებული შესაბამისი ინფორმაცია

ეთიკის კოდექსის მიღების შემდეგ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები საქართველოს პარლამენტში

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს IX მოწვევის პარლამენტში გახმაურებულ შემთხვევებს, როდესაც პარლამენტის წევრებმა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირებით და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით შესაძლოა დააღვიეს ეთიკის ნორმები[8].

- **დაპირისპირების მონაწილეები: ადა მარშანია (ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი"), გიგა ბოკერია (ფრაქცია ,,ევროპული საქართველო"), დიმიტრი ცქიტიშვილი (ფრაქცია ,,ქართული ოცნება")**

თარიღი: 04.03.2019

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე დეპუტატები დიმიტრი ცქიტიშვილი და გიგა ბოკერია ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. სხდომაზე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს, ზურაბ აბაშიძესა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალიას უსმენდენ.

„ევროპულმა საქართველომ" მოითხოვა, რომ კომიტეტის სხდომა საჯარო ყოფილიყო, რასაც დიმიტრი ცქიტიშვილი არ დაეთანხმა. გიგა ბოკერიას თქმით ,,ოპონენტებს დისკუსიის ატანა უჭირთ". დაპირისპირების დროს "პატრიოტთა ალიანსის წევრმა" ადა მარშანიამ გიგა ბოკერიას სადისტი უწოდა და მისთვის სხდომაზე სიტყვის უფლების ჩამორთმევა მოითხოვა.

- **დაპირისპირების მონაწილეები: ოთარ კახიძე (ფრაქცია ,,ევროპული საქართველო), ირაკლი (დაჩი) ბერაია (ფრაქცია ,,ქართული ოცნება")**

თარიღი: 18.03.2019

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის წესისა და კრიტერიუმების შესახებ კანონპროექტის განხილვას, ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა ფრაქცია "ევროპული საქართველოს" დეპუტატ ოთარ კახიძესა და უმრავლესობის დეპუტატ ირაკლი (დაჩი) ბერაიას შორის. დაპირისპირება ოთარ კახიძის მიმართვას მოჰყვა, რომლითაც მან კომიტეტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს მოუწოდა, არ მიეცათ ირაკლი (დაჩი) ბერაიასთვის რეპლიკის უფლება.

- **დაპირისპირების მონაწილეები: ზაზა პაპუაშვილი (ფრაქცია- „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის"), გიგა ბოკერია (ფრაქცია - ,,ევროპული საქართველო"**

თარიღი: 19.04.2019

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ერთმანეთს ფრაქცია „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის" ზაზა პაპუაშვილი და ფრაქცია „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია დაუპირისპირდნენ. ,,„უმრავლესობის ნაწილი მადლობას გადაგიხდით თანამშრომლობისთვის, ნაწილი დაგგმობთ და გკითხავთ, 2012 წლამდე სად იყავით" – გიგა ბოკერიას ამ განცხადებას ზაზა პაპუაშვილის მხრიდან მის მიმართ უცენზურო სიტყვების გამოყენება მოჰყვა.

- **დაპირისპირების მონაწილეები: აკაკი ბობოხიძე (ფრაქცია „ევროპული საქართველო -**

---

8 ანგარიში მოიცავს ეთიკის ნორმების იმ შესაძლო დარღვევებს, რომლებიც შეეხება პარლამენტის წევრთა მიერ არაკორექტული ლექსიკის გამოყენებასა თუ ფიზიკურ დაპირისპირებას.

რეგიონები“), კარლო კოპალიანი (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”)

თარიღი: 28.05.2019

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „ევროპული საქართველო - რეგიონების” დეპუტატ აკაკი ბობოხიძესა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატ კარლო კოპალიანს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. აკაკი ბობოხიძემ სიტყვით გამოსვლისას ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის დებატები ,,ორ კახპას შორის კამათს შეადარა”, რასაც კარლო კოპალიანის პასუხი მოჰყვა - ,,მე თქვენზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ”. აღნიშნულ შელაპარაკებაში ჩაერთო ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერიაც, რის შემდეგაც პარლამენტის სხდომის წამყვანმა, ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა „ევროპული საქართველოს“ წევრებს კორექტულობისკენ და დარბაზის დატოვებისკენ მოუწოდა.

- **დაპირისპირების მონაწილეები: გიორგი ვოლსკი (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”), გიგა ბოკერია (ფრაქცია ,,ევროპული საქართველო”)**

თარიღი: 11.06.2019

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გიორგი ვოლსკიმ სიტყვით გამოსვლისას გიგა ბოკერიას შეურაცხყოფა მიაყენა და მძიმე დანაშაულის ჩადენაში დასდო ბრალი, რასაც მათ შორის შელაპარაკება მოჰყვა. პარლამენტის თავმჯდომარემ კოლეგებს მოუწოდა არ დაერღვიათ ეთიკის წესები.

- **ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება პლენარულ სხდომათა დარბაზში**

თარიღი: 25.06.2019

20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ფრაქცია „ქართული ოცნების” თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის სიტყვით გამოსვლას პარლამენტის სხდომათა დარბაზში დეპუტატებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ოპოზიცია შს მინისტრის, გიორგი გახარიას თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენებას მოითხოვდა, რის გამოც ისინი მამუკა მდინარაძემ პროვოკაციაში დაადანაშაულა. ოპოზიციამ სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა, რასაც წინ უსწრებდა დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება.

- **დაპირისპირების მონაწილეები: ვანო ზარდიაშვილი (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”), რომან გოცირიძე (ფრაქცია ,,ნაციონალური მოძრაობა”)**

თარიღი: 26.06.2019

საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც პროკურატურის მიმართვის საფუძველზე ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერების საკითხს განიხილავდნენ, ერთმანეთს ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე და უმრავლესობის წევრი ვანო ზარდიაშვილი დაუპირისპირდნენ. მათ შორის ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს” წევრი ოთარ კახიძე ჩადგა, სიტუაციაში ჩაერია მანდატურის სამსახურიც, რის შემდეგაც რომან გოცირიძემ სხდომა დატოვა.

- **დაპირისპირების მონაწილე: ემზარ კვიციანი (ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“)**

თარიღი:08.09.2019

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატების“ წარმომადგენელმა, დეპუტატმა ემზარ კვიციანმა პარლამენტის წინ მოძრაობა „სირცხვილიას” აქციის მონაწილეებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეებმა დეპუტატს „რუსეთის მონა“ უწოდეს. სიტუაციის განსამუხტად ადგილზე მობილიზებულ პოლიციას აქციის მონაწილეები ემზარ კვიციანის დაკავებისკენ მოუწოდებდნენ .

- **დაპირისპირების მონაწილეები: ეკა ბესელია (დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი), ვანო ზარდიაშვილი (ფრაქცია „ქართული ოცნება”)**

თარიღი: 26-09-2019

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს უსმენდნენ, ვანო ზარდიაშვილსა და ეკა ბესელიას შორის ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. „რა მორალზე ლაპარაკობ, ბესელიას მორალი მოიკითხე შენ“ - აღნიშნულმა ფრაზამ, რომლითაც ვანო ზარდიაშვილმა გედევან ფოფხაძე მიმართა, ეკა ბესელია გააღიზიანა. როგორც ცნობილია, დაპირისპირებას წინ უსწრებდა დეპუტატ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების კადრების გავრცელება და ვანო ზარდიაშვილის ფრაზა სწორედ ამ კოტექსტში იქნა აღქმული.

აღსანიშნავია, რომ ივლისის თვეში ეკა ბესელიამ ვანო ზარდიაშვილის შეურაცხმყოფელი განცხადების გამო რეაგირებისთვის ეთიკის საბჭოს მიმართა .

- **დაპირისპირების მონაწილე: ადა მარშანია (ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“)**

თარიღი:01-10-2019

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ადა მარშანიამ ფრაქცია „ევროპული საქართველოს” ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბოკერიას “მკვლელი და მწამებელი”, ხოლო ,,ქართული ოცნების” წარმომადგენლებს “ლაჩრები და მოღალატეები” უწოდა. მისი პროტესტი ე.წ. „მუხროვანის საქმეზე“ ირაკლი სესიაშვილსა და გიგა ბოკერიას შორის კამათმა გამოიწვია.

- **დაპირისპირების მონაწილეები: ლევან გოგიჩაიშვილი (პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი), ირაკლი (დაჩი) ბერაია (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”)**

თარიღი: 22.10.2019

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, სადაც უზენაესი სასამართლოს კანდიდატს გიორგი მიქაუტაძეს უსმენდნენ, ფრაქცია “ქართული ოცნების” წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია და დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სხდომაზე სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც დეპუტატებმა იკამათეს მიეცათ თუ არა თბილისის საკრებულოს წევრ ვახტანგ შაქარაშვილისთვის მოსამართლეობის კანდიდატისთვის კითხვის დასმის უფლება. მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, ლევან გოგიჩაიშვილი ირაკლი ბერაიას დაემუქრა - ,,მაგ სიტყვების გამო რა დაგემართება, განახებ. რამის თავი მაინც გქონდეს”.

- **დაპირისპირების მონაწილეები: გედევან ფოფხაძე (პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი), ლევან გოგიჩაიშვილი (პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი), ირაკლი (დაჩი) ბერაია (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”), მიხეილ ყაველაშვილი (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”), კობა ლურსმანაშვილი (ფრაქცია „ქართული ოცნება-რეგიონების განვითარებისთვის“)**

თარიღი: 12.11.2019

პლენარულ სხდომაზე დაძაბულობის მიზეზი საპატრიარქოს გარშემო მიმდინარე მოვლენები გახდა. ,,ქართულმა ოცნებამ” და ,,ნაციონალურმა მოძრაობამ” ერთმანეთი ეკლესიის დისკრედიტაციაში დაადანაშაულეს.

სიტყვით გამოსვლისას დეპუტატმა მიხეილ ყაველაშვილმა აკაკი ბობოხიძე ,,კაკოია ბობოხიძედ” მოიხსენია და ოპონენტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. განსაკუთრებით მწვავე იყო დაპირისპირება დაჩი ბერაიას და გედევან ფოფხაძეს შორის. დამოუკიდებელი დეპუტატის გაღიზიანება დაჩი ბერაიას რეპლიკას მოჰყვა იმის შესახებ, რომ ფოფხაძე „ნაციონალური

მოძრაობის“ იდეოლოგიას იზიარებს. სხდომათა დარბაზში დეპუტატ გედევან ფოფხაძის მხრიდან არაერთხელ გაჟღერდა უცენზურო ფრაზები. “... მკიდია თქვენი კონსტიტუცია, გამოვიდეს გარეთ“ - მისი ეს ფრაზა დაჩი ბერაიას მიემართებოდა.

პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაწყებული დაპირისპირება დეპუტატებისთვის განკუთვნილ ოთახში გაგრძელდა, სადაც სიტყვიერი დაპირისპირება გედევან ფოფხაძესა და დაჩი ბერაიას, ასევე - კობა ლურსმანაშვილსა და ლევან გოგიჩაიშვილს შორის. სიტუაციის გასანეიტრალებლად დაპირისპირებაში მანდატურის ჩართვა გახდა საჭირო.

- **დაპირისპირების მონაწილე: ირაკლი კობახიძე (ფრაქცია ,,ქართული ოცნება”)**

თარიღი: 13.11.2019 წელი

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში აგრესიული რიტორიკით გამოირჩეოდა კოლეგების მიმართ. პლენარულ სხდომაზე ირაკლი კობახიძემ ოპოზიციის წევრებს ბერბიჭაშვილები უწოდა და დეპუტატ სერგო რატიანს შემდეგი სიტყვებით მიმართა “პირობას გაძლევ, დაგამთავრებ. ნუ იკრიჭები, სერგო.”. „ჩინჩალაძე და მიქაუტაძე ვინ არიან? შენ ხარ ბერბიჭაშვილი“ – ამ რეპლიკით მიმართა კობახიძეს ლევან გოგიჩაიშვილმა. საპასუხოდ ირაკლი კობახიძემ ლევან გოგიჩაიშვილს უპასუხა: „შე ნაძირალა, გაჩუმდი. ლევან, შენც გიგლა ბერბიჭაშვილი ხარ. მაგიტომ ხარ „ნაცებთან“ ტანდემში, გიგლა ბერბიჭაშვილი რომ ხარ. ლევან, არ შეგრჩება ეგ სიტყვები, განანებ მაგრად“.

შეფასება/რეკომენდაცია

ეთიკის საბჭოს შექმნა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის საბჭოს წევრებით დაკომპლექტება და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება დროულად ვერ მოხერხდა, რამაც ბევრი მნიშვნელოვანი ინციდენტი სათანადო რეაგირების გარეშე დატოვა.

ეთიკის კოდექსის არსებით ხარვეზს წარმოადგენს დარღვევის შემთხვევაში რეაგირების ეფექტური მექანიზმების არ არსებობა. ეთიკური ნორმის დარღვევის შემთხვევაში, ეთიკის საბჭო დეპუტატს მხოლოდ სარეკომენდაციო წერილით მიმართავს, პარლამენტის ვებგვერდზე კი ქვეყნდება ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება, დარღვევის მცირე აღწერით და ეთიკის ნორმების დამრღვევი დეპუტატების სახელების მითითებით.

რეაგირების ეფექტური მექანიზმის გარეშე, ეთიკის კოდექსი მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი იქნება. აღსრულების ქმედითი მექანიზმის დანერგვასთან ერთად, მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტებიც:

- აუცილებელია ეთიკის საბჭომ იმსჯელოს არსებული რეაგირების მექანიზმების გამკაცრების საკითხზე იმისათვის, რომ ეთიკის კოდექსი იყოს ეთიკური პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დამკვიდრებისკენ მიმართული ქმედითი დოკუმენტი ;

- ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, დაირღვა თუ არა მის მიმართ კოდექსის ნორმები, უნდა ჰქონდეს უფლება, შეიტანოს საჩივარი კოდექსის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით;

- მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში, სადაც ასახული იქნება განხილული საქმეების შესახებ ინფორმაცია და სამუშაო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.